

Erasmus + საერთაშორისო მობილობაში სტუდენტთა მონაწილეობის წესი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 2015 წლის 16.07, ოქმი #11

ცვლილებები შევიდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის
აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბერის № 145/2021 დადგენილებით

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. თსკ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი უზრუნველყოფს Erasmus + საერთაშორისო მობილობასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობას;

მუხლი 2. Erasmus+ საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მიღების მსურველი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტების შესახებ:

- 2.1 საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს Erasmus+ პროგრამით სტიპენდიების კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველი თსკ-ის სტუდენტების ინფორმირებას ევროკავშირის წევრი/ასოცირებული მესამე ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გამოცხადებული ვადების შესაბამისად;
- 2.2 საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს კონსერვატორიის სტუდენტების (შემდგომში - სტუდენტი) საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს;
- 2.3 Erasmus + საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთა შერჩევა თსკ-დან და სტიპენდიის დანიშვნა წარმოებს ევროკავშირის წევრი/ასოცირებული მესამე ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ კონკურსის წესით; გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ევროკავშირის წევრი/ასოცირებული მესამე ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კონკურსში მონაწილე აპლიკანტების რიცხოვნობის ლიმიტირების მიზნით სთხოვს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას, თავად მოახდინოს წინასწარი შერჩევა. ასეთ შემთხვევაში მოქმედებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ 2010 წლის 17 დეკემბრის №3 ოქმით მიღებული წესი - „პარტნიორ უმაღლესებსა და თბილისის სახ. კონსერვატორიას შორის ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში გაცვლითი პროგრამების/გამოყოფილი სტიპენდიების მოსაპოვებლად შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ“
- 2.4 Erasmus+ საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მსურველ თსკ-ის სტუდენტთა დაშვების წინაპირობაა:
 - 2.4.1. უცხო ენის ცოდნა:

- პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ენის შესაბამის დონეზე ცოდნის სერტიფიკატი (ინგლისურის შემთხვევაში: TOEFL, IELTS, Pearson PTE Academic, Cambridge ESOL) ან თსკ-თან ინსტიტუციური შეთანხმებით ჩატარებულ ტესტირებაში დამაკმაყოფილებელი შედეგის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ენის ტესტში არადამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში თსკ უზრუნველყოფს პარტნიორი ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას.

2.4.2. სპეციალობის საგნებში აკადემიური დავალიანების არქონა;

2.4.3 Erasmus + საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მსურველი სტუდენტი განაცხადის შეტანის დროს არ უნდა იყოს ბაკალავრიატის პირველი კურსის პირველი სემესტრის სტუდენტი (*აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება, 18.05.2016 წ. ოქმი #5*).

2.4.4. სტუდენტი არ უნდა იღებდეს კონკურსში მონაწილეობას დამატებით სემესტრში სტიპენდიის მოპოვების მიზნით;

2.4.5. კონკურსში მონაწილეობის მსურველს უნდა ჰქონდეს სტუდენტის აქტიური სტატუსი.

2.5 საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი უწევს საჭირო კონსულტაციას Erasmus+ საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტებს და წარმართავს მათ საქმეს მასპინძელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი საბუთების შესაბამისად:

2.5.1. Erasmus + საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის ერთ-ერთი პირობაა სტუდენტის მიერ შევსებული სასწავლო ხელშეკრულება (Learning Agreement, ნაწილი - Before the mobility), რომელსაც ხელს აწერს სტუდენტი, კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და მასპინძელი (მიმღები) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირები. აღნიშნულ ხელშეკრულებაში ჩამოთვლილია ის საგანმანათლებლო დისციპლინები, რომლებსაც სტუდენტი, Erasmus + საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის (სტიპენდიის მოპოვების) შემთხვევაში, გაივლის მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

2.5.2. Erasmus + საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მსურველი სტუდენტი ვალდებულია, თავად მოიძიოს სასურველი მასპინძელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდზე უცხოელი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იმ საგანმანათლებლო დისციპლინების ჩამონათვალი, რომელიც იკითხება Erasmus + საერთაშორისო მობილობაში გათვალისწინებულ მობილობის ენაზე იმ საგანმანათლებლო სემესტრში,

რომელიც გათვალისწინებულია მობილობის სემესტრად რეგისტრაციის თაობაზე განცხადების მიხედვით და შეავსოს სასწავლო ხელშეკრულება;

2.5.6. სტუდენტი ვალდებულია მასპინძელი უსდ-გან სტიპენდიის მოპოვების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე სასწავლო ხელშეკრულების სამუშაო ვერსია (Before the mobility) წარუდგინოს კრედიტების აღიარების დარგობრივ კომისიას, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სასწავლო ხელშეკრულების დაზუსტებული ვერსიის ფორმირებას და კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირისთვის მიწოდებას ხელმოწერის მიზნით;

2.5.7. სასწავლო ხელშეკრულების შევსებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას, რომ მასში არ არის რეკომენდებული ისეთი საგანმანათლებლო დისციპლინების მითითება, რომელიც სტუდენტის მიერ მასპინძელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან დაბრუნების შემდეგ გამოიწვევს სტუდენტის სწავლების პერიოდის გახანგრძლივებას, მაგრამ თუ აღნიშნული საჭიროება გარდაუვალი იქნება, ამის შესახებ სტუდენტს უნდა განემარტოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სასწავლო ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე.

2.6. საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი ინსტიტუციური თანამშრომლობის საფუძველზე შეთანხმებული პლატფორმებიდან Erasmus + საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთა საბუთების პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაგზავნას ადასტურებს. ასეთი პლატფორმის არარსებობის შემთხვევაში, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი აგზავნის Erasmus + საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთა საბუთებს პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტში/ოფისში;

მუხლი 3. თსკ-ში Erasmus + საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მსურველი პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა შესახებ:

3.1. თსკ-ში Erasmus + საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მსურველ ევროკავშირის წევრი/ასოცირებული მესამე ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა შერჩევა ხორციელდება თსკ-ს მიერ კონკურსის წესით:

3.1.1. საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი უზრუნველყოფს საორგანიზაციო საკითხებს, გასცემს ინფორმაციას, უწევს საჭირო კონსულტაციას Erasmus + საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მსურველ პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებს და წარმართავს მათ საქმეს თსკ-ის მიერ გამოცხადებული კონკურსის წესის მიხედვით;

3.1.2. თსკ-ში Erasmus + საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მსურველმა პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებმა თსკ-ის საერთაშორისო დეპარტამენტში მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა

გამოგზავნონ 15 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე (გაზაფხულის სემესტრში სწავლის სურვილის შემთხვევაში) ან 15 მარტიდან 15 აპრილამდე (შემოდგომის სემესტრში სწავლის სურვილის შემთხვევაში);

3.2. თსკ-ში Erasmus + საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მსურველმა ევროკავშირის წევრი/ასოცირებული მესამე ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- სააპლიკაციო ფორმა;
- Curriculum Vitae;
- სამოტივაციო წერილი;
- ნიშნების ფურცელი/დიპლომის დანართი ან სწავლების საფეხურის/წინა საფეხურის დამადასტურებელი საბუთი;
- აუდიო/ვიდეო ჩანაწერი (პროგრამა თავისუფალი არჩევანით - ხანგრძლივობა 15-20 წთ.)
- პასპორტის ასლი/მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- 1 ფოტოსურათი;

3.3. თსკ-ში ერასმუს+ სტუდენტების მომსახურება წარმოებს კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 19 მარტის N5 დადგენილებით დამტკიცებული (ცვლილებები შევიდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის № 146/2021 დადგენილებით) „საერთაშორისო მოკლევადიან მობილობებში მონაწილე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებისა და პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა მომსახურების წესის“ შესაბამისად.

3.4. თსკ-ში Erasmus + საერთაშორისო მობილობაში მონაწილე სტუდენტები ექვემდებარებიან თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხვისა და სწავლის რეგულაციის წესს (*დამტკიცებულია 2011 წლის 27 დეკემბერს, აკადემიური საბჭოს სხდომა, ოქმი #4, დამატება დამტკიცებულია სენატის მიერ 2014 წლის 15 ივლისს, ოქმი #9*).